ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-07/19944-16 17. 02. 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში (სექტორი – სამგორი), კაიროს ქ. №42-ში (ნაკვ. №008/036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასაწყობე შენობა-ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში (სექტორი – სამგორი), კაიროს ქ. №42-ში (ნაკვ. №008/036) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

წინა ფასადზე "R-Q", "M-F" და "B-A" მონაკვეთებში სახურავის გადახურვის ქვეშ დამატებულია ბეტონის ფილები (ე.წ. "ბეტოპანი") (აღნიშნული დარღვევა ასახულია რენდერში). "R-Q" მონაკვეთში დამატებულია კიბე და შეცვლილია საფეხურების კონფიგურაცია. "H-G" მონაკვეთში შემცირებულია საფეხურების სიგრძე. "G-F" მონაკვეთში დამატებულია კიბე. "N-M" და "C-B" მონაკვეთებში დამატებულია ბაქნები. "C-B" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. აღნიშნულ ფასადზე ბაქნები მოსაპირკეთებელია. ზოგიერთ ადგილებში სამღებრო სამუშაოები დასამთავრებელია. ლითონის სვეტები შესაღებია ნაცრისფრად.

გვერდით ფასადზე 3-1 ღერძებში ფანჯარა გადაადგილებულია.

შენობის ფასადებზე ბეტონის ფილებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები არ არის ასახული. დამატებულია წყალმიმღები მილები და შენობის ძირები შესაღებია.

საპროექტო შენობის გვერდით ლითონის ღობის ნაცვლად განთავსებულია კაპიტალური ღობე სიმაღლე დაახლოებით 2.20 მ. ასევე დამატებულია ჭიშკარი.

გვერდით ფასადის მხარეს (1-3 ღერძებში) ტერიტორიის შემომსაზღვრელი ღობის დეტალი არ ემთხვევა წითელი ხაზის კონფიგურაციას.

უკანა ფასადის მხარეს მიმდინარეობს საყრდენი კედლის მოწყობა შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი", ქ. თბილისში, (სექტორი – სამგორი), კაიროს ქ. №42-ში (ნაკვ. №008/036) მდებარე

მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასაწყობე შენობა-ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №07/19944-16 10.02.2012წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილე **ვ. მუკირიშვილი**